წლიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 26 სექტემბერი 1915 წ. № 102

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ხაროშუხის კლუბი"

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

პროგრამა 26—28 სექტემბრამდე.

შაბათს, 26 სექტ. ოპერეტა თათრულ ენაზედ. შესვლა ოპერეტკაზე უფასოა.

კვირას, 27 სექტ. კ ო ნ ც ე რ ტ ი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს პრესმანის ლოტბარობით სიმებიანი ორკესტრი.

სინემატოგრაფის დასაწყისი 8 ნახევარ ს. წარმოდგენების 9 ს. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

## თბილისის სამეურნეო ბანკის

### სამართველო

## საზოგადო კრება,

რომელიც არ შესდგა 25 სექტემბერს 1915 წელს წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო, დანიშნულია

### კვირას, 11 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ

„ახალი კლუბის" დარბაზში:

კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის დირექტორი ნაცვლად ვას. როსტ. ყიფიანისა, რომელიც არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ ამავე გამგეობისა. (3—1)

ახლად დაარსებული საამხანაგო

## ფქვილის საწყობი „რაჭა"

ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —4

## ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლად შევღებოთ საქალებო და სავაჟო

## ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

„კოტელოკებს" და „ცილინდრებს".

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაუთოებთ ბიწებს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ძალუძს ხსვა განყოფილებები არ მოიპოვება.

## გადაწერას საწერ მანქანის

საშუალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

## ი. თ. ბვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმა

## მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის —3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ძ. გორჯი

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

## ვ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს —6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, ...ელის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

## აჭარელთ ასამართლებენ

კვლავ გაისმა აჭარელთა შესახებ ხმაურობა. ერთხელ კიდევ საზოგადოებას ემცნო გუგუნი, საზარელი ბრალდება „სახელმწიფო მოღალატეობისა". მართალია, ამ ჟამად საბრალმდებლო სკამზე გამოყვანილია სულ რამდენიმე კაცი, მაგრამ ბრალდება მათს თავზე მოხვეული უდრის მთელი მხარის ბრალდებას და ვერავითარ ბრალმდებლის თავის მართლება, ვითომც მთელს აჭარასთან საქმე არა აქვს, მარტო აქ წარმოდგენილ პირთ ვასამართლებო, ვერა ლოღიკა ვერ გაამართლებს: დასჯა წარმოდგენილ პირთა მთელი ამ ქვეყნის გასამართლებაა! ხანგრძლივმა გამოძიებამ კი დიდი ხანია ამ ქვეყნის მართებლობაში დაარწმუნა თვით უსასტიკესი სკეპტიკოსნი. საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ აჭარელნი აქ შუაში არ იყვნენ, მათი გამოსვლა თუ გნებავთ ერთგვარი „სახელმწიფოებრივი ღალატი" ფიქტიური გახლდათ, უკიდურეს შემთხვევაში—იძულებითი. ეს, თუ არ დაგიშლიათ, შემთხვევითი ხასიათის „დანაშაულობაა", განსაკუთრებული ამბავი, რასაც განსაკუთრებული კვლევის მეთოდით უნდა მივუდგეთ და არა კაბინეთში მოაზრეთა და უჭკვიანეს კაცთა მიერ შედგენილი კოდექსის საშუალებით. თუ ამ მხრით შევხედავთ, დავინახავთ, რომ აჭარელთა „სახელმწიფოებრივი ღალატი" არ ყოფილა ქარიშხალისებურად ამოვარდნილ ინსტიქტის პროტესტი, სურვილი სახელმწიფოდან გაქრისა მოწინააღმდეგის ბანაკში შესასვლელად, რათა მათთვის ზურგი გაემაგრებინათ. ასეთი მაგალითები, ასეთი აღტყინებული გრძნობით გატაცებული შეიარაღებული გაქრა მტრის ბანაკში ამ ომის დროს ჩვენ მრავლად დავინახეთ დასავლეთ ასპარეზზე ელზასელთა შორის, როდესაც გერმანელებს გაურბოდნენ ათასობით შეიარაღებულნი და ავსტრიის საზღვრებზე რუსინთა და გალიციელთა თვით რეგულიარ ჯართა მთელი დივიზიობით გადმოსვლა რუსების მხარეზე.

კერძოდ აჭარელთა მაგალითი არც ელზასელთა და არც რუსინთა როლს არ მიეგვარება. აქ არ იყო სტიქიური გატაცება ჩაკლულ გრძნობებისა, აქ ხმა არ ამოუღია მშობლიურ გრძნობის შებორკილებასა, რომ ოსმალთა მხარეზე გადასულიყო მთელი აჭარა. ჩვენ ვიცით და გამოძიებამაც დაამტკიცა, რომ რუსის მხედრობის გამოსვლისთანავე მთელი ეს მხარე უპატრონოდ დარჩა. შეუიარაღებელი იგი მტრის ხელში უბრალო ნივთად გარდაიქცა, რომელსაც მორჩილებით უნდა აესრულებინა ყოველგვარი ბრძანება დროებით გაბატონებულ მბრძანებლისა. ძალა აღმართის მხვნელია. უიარაღო აჭარელი პროტესტს ვერ განუცხადებდა, ვერ განუცხადებდა იმიტომ, რომ ამის ძალა არ ჰქონდა.

თუ ასეთ „მოღალატეებთან" გვაქვს საქმე, თუ დღეს ასეთ სახის აჭარლებს ასამართლებენ, დაე, მაშინ ხმა აღიმაღლოს სამართლის სამართლიანობამ, ჰუმანიურმა მართლმსაჯულებამ, ამ განსაკუთრებულ შემთხვევის განსაკუთრებული თვალსაზრისით შეჰხედოს და ტაში დაუკრას მათ, როგორც ტაშს უკრავს „ნოვოე ვრემია" იმ ელზასელებს, რომელნიც გერმანიის უღელს გაექცნენ, მაგრამ ვიდრე დანიშნულ ადგილს მიაღწევდნენ, მტრის ტყვიით გულ განგმირულნი დაეცნენ ზედ შუა გზაზე.

მაგრამ შესაძლებელია ელზასელ-რუსინების მაგალითი რამდენადმე მიუგვარებელი იყოს აჭარელთა საქციელთან; შესაძლებელია ისიც, ბრალმდებელს სულ სხვა პრეტენზია ახელმძღვანელებდეს, მაგრამ ფაქტი თუნდა ისეთის პირებისა, როგორც დამნაშავეთა შორის გარეული ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე გახლავთ, ვის შესახებაც მთელი წერილი მოვათავსეთ ჩვენ გაზეთის გუშინდელ №-ში, ცხადსა ჰყოფს თუ რა ვიწრო ტენდენციას უჩენია თავი, თუ რა უმართლო ბრალდებაა წამოყენებული! ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე და გასამართლება, ეს ხომ უცნაურობაა.

ადამიანი, ვინც მთელი თვისი სიცოცხლით, მთელი არსებით, მთელი თვისი ძალ-ღონით სცდილობდა ოსმალთათვის გამოეგლიჯა ქართველი მაჰმადიანობა და რუსეთის სკიპტრის ქვეშ მოეპოვებინა ბინა, ადამიანი, ვისთანაც ბინას პოულობდნენ ჩვენი ისტორიკოსები, მოგზაურნი, მისიონერები, სამხედრო პირნი, ასეთი ადამიანი ამ მძიმე ბრალდების ქვეშ ბუნებრივად უნდა იწვევდეს პროტესტს, აღელვებას, და, დიახაც, მის გასამართლებას უთანასწორებდნენ მთელი ბედკრული ქვეყნის გასამართლებას!

ჰუმანიური გრძნობა, ადამიანობა და გულდაკოდილ აჭარის ხმა მოითხოვს, ვიკმაროთ მსხვერპლი და უკანასკნელად ჩამოვრეცხოთ ტლანქი ხელით ამ ქვეყანაზე გადასროლილი ბრალდება „სახელმწიფო ღალატი", რაიც ფიქტიურ ლაქად აჩნევია ტანჯულ სახეზე. დაე, გაიმარჯვოს მართლმსაჯულებამ და ნურამც ჰქმნას ღმერთმა, რომ კავკასიაში ახალ მეფის ნაცვლის დანიშვნის დღე ასეთი საზარელ ამბით აღინიშნოს.

დ. კასრაძე.

# ომის ამბები

## ქურნალ-გაზეთებიდან

**სალონიკში.**

სალონიკში დიდი მღელვარებაა დიდ ამბების მოლოდინში.

**საბერძნეთი ოთხთა შეთანხმებას ემხრობა.**

გერმანულ გაზეთ „Kölniche Zeitung"-ს სარწმუნო წყაროებიდან ცნობა მოსვლია, საბერძნეთმა გადასწყვიტა ოთხთა შეთანხმებას მიემხროსო და ამიტომ დასტურს დასცემს, რომ მოკავშირეებმა საექსპედიციო კორპუსი სალონიკში გადმოსხანო.

**მთავრობისა და მეფის აყალ-მაყალის იმედი.**

გერმანულ გაზეთ „Berliner Tageblatt" იმედს ამყარებს იმ უთანხმოებაზე, რომელიც არსებობს საბერძნეთის მეფესა და მის პრემიერს შორის. გაზეთი ამბობს, მობილიზაციის მოხდენას იმიტომ დაყაბულდა მეფე და მისი სამხედრო მრჩევლები, რომ დღეს მთელი ბალკანეთი შეიარაღებულია და მომენტს მოელისო. მობილიზაცია ეროვნულ საჭიროებას წარმოადგენდაო. მაგრამ ისე კი შეიძლება ითქვას, რომ მეფეს არა სურს დღეს ომში ჩაერიოს, როგორც არა სურდა ომი გუშინაცაო.

**ბულგარეთის ბუნება.**

პარიზის გაზეთები იუწყებიან, ბულგარეთში საერთო განწყობილება შეთანხმების სასარგებლოდ შეიცვალაო.

„Temps"-ის სიტყვით ბულგარულ გაზეთებს ცენზურასაგან მოწერილობა მოუვიდა, სიფიცხით ნუ გაილაშქრებთო საბერძნეთის წინააღმდეგ.

**ვენიზელოსის მომხრეები.**

ვენიზელოსის მომხრეები არავითარ კომენტარიებს არ ჰბეჭდავენ ვენიზელოსისა და მეფის შუა მომხდარ კონფლიქტის შესახებ. მეფის მომხრენი აცხადებენ, მეფეს არ შეეძლო რაიმე ძალა დაეტოვებინა ვენიზელოსის ხელში, როდესაც იგი ...კისი პოლიტიკით ბულგარეთოსმალეთს ამხედრებდაო.

**მოკავშირეთა ელჩების საქციელი.**

23 სექტ. საღამოთი, მოკავშირეთა ელჩებმა ბულგარეთის მთავრობას პასპორტები გამოსთხოვეს. იტალიელთა ელჩიც მიემხრო მათ, თუმცა წინა დღეებში არავითარი მოთხოვნილება არ წარუდგენია ბულგარელთათვის. ასევე მოიქცა ბელგებისა და სერბების ელჩი.

**სავინსკის ავადმყოფობა.**

რუსების ელჩი სავინსკი ბრმა ნაწლევების ავადმყოფობით ლოგინად ჩავარდა. მისი წამოსვლა შეუძლებელი გახდა. სოფიაში მისი დარჩენა კერძო ხასიათისაა.

**დედეაგაჩის წინ.**

ფრანგული გაზეთი „ტემპს"-ი იუწყება, მოკავშირეთა ფლოტი მზად დგას ბულგარეთის წ...აღმდეგ გასალაშქრებლად. ინგლის-საფრანგეთის ესკადრა დედეაგაჩის წინ მიმოდისო.

**რადოსლავოვის განცხადება.**

გერმანულ გაზეთ „Berliner Tageblatt"-ს რადოსლავოვმა განუცხადა: ბულგარეთის მობილიზაციას მოგერიებითი ხასიათი აქვს. იგი არაა მიმართული არც საბერძნეთისა და არც რუმინიის წინააღმდეგ. დღეს ყველა პატარა სახელმწიფო იძულებულია დღე და ღ... ზრუნოს

თვითარსებობისა და თავის ინტერესების დასაცავად. ყველამ კარგად უწყის, თუ რა ინტერესი აქვს დასაცველი ბულგარეთს. სერბიას შეეძლო ომი აეცდინა, ბულგარეთისთვის რომ დაეთმო მაკედონიის მიწაო.

**საპარლამენტო კრიზისი საბერძნეთში.**

ვენიზელოსის დათხოვნის შემდეგ კაბინეთის შედგენა იკისრა ზაიმსმა. იგი ეროვნულ ბანკის გამგეა, მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე. ახალ მინისტრთა სიას დღეს ან ხვალე შეადგენს. მეფემ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელნი მოიწვია სამინისტრო კრიზისის საკითხის გადასაჭრელად. შედეგი არ იციან.

**სერბიის პრემიერის სიტყვა.**

სერბიის სამინისტროს თავმჯდომარეს განუცხადებია: სერბია მზად არის ყოველ შემთხვევისათვის და ეჭვი არ ეპარება რომ საბოლოო გამარჯვება მას დარჩება. იგი თვის მოვალეობას ბოლომდე მიიყვანს და ომის ბედმაც რომ უმუხთლოს და დამარცხდეს კიდეც, იგი მარტოკა არ იქნება, მთელი ევროპის ბედს გაინაწილებს და მთელი ევროპა კი ვერ აღიგვება დედამიწის პირისაგანო.

---

ბუქარესტიდან იუწყებიან, ყოფილმა მინისტრმა გენერალმა კრაინიჩანომ მოუწოდა რუმინეთს მომენტით ისარგებლოს და აღნიშნავს, ინგლის-საფრანგეთის ჯარი ალბანეთსა და საბერძნეთში გადმოსხდებიან და ბულგარეთის გეგმას გეზს უცვლისო. ვიდრე გერმანელები გამოარღვევენ, მოკავშირენი დარდანელს დაიპყრობენო.

**ავსტრია-გერმანია რუმინიას თავს არ დაესხმება.**

რუმინიის ყოფილი სამხედრო მინისტრი შეუძლებლად სთვლის, რომ ავსტრია-გერმანია რუმინიას თავს დაესხას.

---

ბუქარესტიდან იტყობინებიან, სავიპკის ტყეში რუმინელებმა ოთხი უნგრელი ჯაშუში შეიპყრეს. ორი გადაცმული ოფიცერი გამოდგაო.

**ფრანგების აღშფოთება.**

ფრანგის საზოგადოება და მთელი ფრანგული პრესა აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ ბულგარეთის ჯარში გერმანელი ოფიცრები არიან და ბრძანებლობენ.

**გერმანელები ავსტრიელების მაგიერ.**

იუწყებიან, რომ ავსტრიელებმა დასტოვეს დუნაის ნაპირები და ამ ფრონტზე მათ მაგიერობას გერმანელები გასწევენო.

**შ ა მ პ ა ნ შ ი.**

მოკავშირეთა მძიმე არტილერიას და ჰაეროპლანებს დიდი არევ-დარევა შეაქვს გერმანელთა ჯარის ზურგში. ამისდამიუხედავად გერმანელები არა ჩვეულებრივ სიმარდეს და საქმიანობას იჩენენ რომ როგორმე აღადგინონ ის მდგომარეობა, რომელიც ფრანგების შემოტევამდე არსებობდა. მოაქვთ აუარებელი საომარი მასალა და მოყავთ მაშველი ჯარები.

**დუმბას წასვლა.**

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ, ვაშინგტონიდან ავსტრიის ელჩის დუმბის წასვლის შემდეგ, მოითხოვა აგრედვე, რომ გაეწვიათ გერმანიის სამხედრო აგენტი.

**სმორგონის აღება.**

სმორგონში ნაშუადღევის 4 საათზე შემოიჭრა გერმანელ ცხენოსანთა რაზმი. რუსის მთავრობამ მოასწრო დაბიდან დროზე გაეტანა ტყავეულობა. გასვლა მოასწრო აგრედვე ოშმიანის ხაზინამ. გერმანელთ ხელთ იგდეს მხოლოდ რკინის გზისა და ფოსტა-ტელეგრაფის კასაში შემოსული ფული. ლიბავა-რომენის რკინის გზის სადგურისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა პერსონალი ტყვედ წაიყვანეს გერმანელებმა.

**არტუასა და შამპანში მომხდარ ბრძოლის გამო.**

გერმანიის გენერალი შტაბი იუწყება, გერმანიის ჯარებმა უკუ აქციეს ფრანგების ყველა იერიში სუშეს აღმოსავლეთით და ნევილის ჩრდილოეთითო. ფრანგების გამარჯვების შესახებ შამპანში გერმანიის შტაბი ამას-ღა ამბობს: შამპანში ფრანგებმა ოპერივის აღმოსავლეთით იერიში მოიტანეს ფართე ფრონტით და ერთ-ერთ ადგილას გაარღვიეს და გერმანელების ჯარის სადგომში შემოიჭრნენო. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ბადენის ლეიბ-გრენადიორებმაო. დასასრულ გერმანიის შტაბი აღნიშნავს მოკავშირეთა საჰაერო ესკადრის თავდასხმას ლაონზე (მდ. უაზსა და მდ. ენს შორის).

**შემოტევა შამპანში.**

„Yosische seitung"-ის კორესპონდენტი 17 სექტემბრის თარიღით იუწყება, ფრანგებმა არაჩვეულებრივი ძლიერებით განაახლეს შემოტევა შამპანშიო. უმთავრესად დაუშენიათ სენტ-ილერ-სუენპერტ-მენილის რაიონისთვის. დატრიალდა ერთი უუმკაცრესი ბრძოლათაგანი დღევანდელ მსოფლიო ომშიო. ძნელი სათქმელია, თუ რას განიცდიდა გერმანელთა ჯარი ფრანგების საშინელი ცეცხლ ქვეშო.

# ბრძოლის ველი

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

მას აქეთ რაც გერმანიის ჯარები ეკვეთნენ უნგრეთის ველისკენ კარპატების მთებიდან გამარჯვებით მიმავალ რუსის ჯარებს და ომის ბედის მიმდინარეობამ გეზი შეიცვალა ვიდრე, ამ უკანასკნელ ათ-თორმეტ დღემდე არ შეჩერებულა ჩქარი, სულამოუთქმელი დევნა რუსის ჯარისა, რომელიც პირველ დამარცხების შემდეგ, თავის შენახვას ცდილობდა და სამხედრო ამუნიციას მოკლებული სწრაფად იხევდა უკან, განუზომელი ენერგია და უანგარიშო სამხედრო მასალა ჩანთქა ამ სამი თვის შეუწყვეტელმა გიჟურმა ბრძოლამ. ყველაფერს დასასრული აქვს და მით უმეტეს ადამიანის ენერგიას. განუწყვეტლივ მებრძოლ ჯარებს დასვენება დასჭირდა. დაუზოგავად დახარჯული სურსათის მაგიერ, ახალი უნდა მოსულიყო და ნაკლი შევსებულიყო. ენერგიისა და სამხედრო სურსათის წარკვეთამ მოუსწრო გერმანიის ჯარს იმ ფრონტზე, სადაც იგი დგას ამ უკანასკნელ დღეებში. ფრონტი იწყება რიგის დასავლეთით, მიიმართება სამხრეთ აღმოსავლეთის გეზით, აღწევს კრეიცბერგს, შემდეგ დაეშვება სამხრეთისკენ, დვინსკის 12 ვერსის სიშორეზე დასავლეთით ჩაუვლის დ გარედ ვამოწეულ რკალისებურად ჩამოყვება ტბებ დრისვიატ-ბოგინსკ-მეძიოლას ხაზს, შემდეგ ოდნავ შეიკეცება და ტალღისებურად, იკლი-ბაკლოდ მიდის სამხრეთ დასავლეთით ვიდრე რუმინიის საზღვრამდე. ამ ფრონტის გასწვრივ ეს რამოდენიმე დღეა უძნიშვნელო ბრძოლა სწარმოებს. ბრძოლის სიცხარემ იკლო, განელდა. მრავალია ამის მიზეზი; ორთავე მხარეს წილი უდევს ამაში. ხოლო თითეულის წილი განსხვავებულია ერთიმეორისაგან. გერმანიის ჯარი ერთი რომ დიდათ დაშორდა თავის მკვებავ ცენტრს, დედა-ბაზა—გერმანიას; სურსათის და სამხედრო მასალის მოწოდებას დრო სჭირდება; მეორეთ ისა რომ რკინისგზათა ქსელი გათხელდა, რაიცა ჯარების გადასხ-გადმოსხმას აგვიანებს და ბრძოლას უკარგავს ჩქარ ტემპს და შედეგს ვერა ჰხდის ეგრე თვალსაჩინოს. მესამედ, სათვალავში ჩასაგდებია თვით ადგილის ჭაობიანი თვისება, რაიც სამხედრო მოქმედებას ახანგრძლივებს, აჭიანურებს და თუ შეუძლოთ არა, ფრიად საძნელოდ ხდის ავტომობილების მოხმარებას სხვა და სხვა საჭიროებისათვის; მიუმატეთ ამას გერმანიის ჯარის დაქანცულობა და მაშინ მიხვდებით, თუ რატომ უნდა დაჰკარგოდა ბრძოლას მკვეთრი გამოსახულება და გერმანელების წინანდებური წინ ქროლვა შეუმჩნეველ, ოდნავ ღოღიალზედ შეცვლილიყო. ეხლა რუსეთის მხრივ გავითვალისწინოთ ამ ბრძოლის გაუშლელობისა და შებორკვის მიზეზები. საცა გერმანიის ჯარს მოუსწრო მომქმედ ენერგიის მილევამ და სამხედრო სურსათის შემოკლებამ, იქ რუსის ჯარს მიეშველა რამოდენიმედ საომარი მასალა. ჭაობებმა და უგზოობამ ხელი შეუწყო რუსის ჯარს შეჩერებულიყო; და ასე შეჩერებულმა ჯარმა სული მოითქვა, გამოსწორდა, სამხედრო ნაწილები წესრიგში მოიყვანა და იმდენად მაინც გამტკიცდა რომ, თუ შეტევით და იერიშით მტერი ვერ იფრინა, თვისი ჩქარი უკუ-დახევა მაინც გაანელა და შეაყენა. ამას გარდა რუსის ჯარი ძალზე დაუახლოვდა ნამდვილ რუსეთის მოსკოვ-კიევ-პეტროგრადის რაიონებს და სურსათის მიწოდება უფრო ადვილი გადაიქცა; თანაც რკინის გზათა ქსელის სიოხე, რუსეთის ცენტრებთან ასეთი დაახლოვების წყალობით, პირვანდელ უხერხულობას არ წარმოადგენს რუსის მხედრობისთვის.

აი მთელი წყება მიზეზებისა, რომელიც უნელებს გრანდიოზულობის ხასიათს გერმანიისა და რუსის ჯარის ბრძოლას დღევანდელ ფრონტზე. ამას უნდა მიემატოს შემუშავება და გამოძებნა ახალ-ახალ სტრატეგიულ და ტაქტიურ ღონისძიებათა, რასაც აუცილებელს ჰყოფს ცვალებადი პირობები ბრძოლისა და ტოპოგრაფია ადგილისა და რაიცა მოითხოვს ჯართა ახალ-ახალ გადაჯგუფებას; ხოლო ეს გადაჯგუფება ზემო აღნიშნულ მიზეზთა გამო, ძნელია და წინა ხნის ოპერაციებთან შედარებით დიდ დროსა და ხანს მოითხოვს. ეს ბრძოლის რამოდენიმეთ მიუყუჩება, ჩვენის აზრით, მოსამზადე[illegible]—ახალი ძლიერი შემოტევისა—და[illegible] ჯერ კიდევ რუსის ჯარი იმდენად ვერ არის მომაგრებული რომ ინიციატივა ხელში ჩაიგდოს, ამიტომ, მოსალოდნელია, ფართე მასიურ შემოტევას ისევ-ისე გერმანია დაადგება, თუ ამინდმა და დასავლეთის ფრონტმა ხელი არ შეუშალა. მოქმედების გაცხოველება მოსალოდნელია ამ ახლო მომავალში.

**დასავლეთის ფრონტი.**

დასავლეთის ფრონტზე ამ უკანასკნელ ათ-თორმეტ დღის განმავლობაში შესამჩნევი ამბები მოხდა. ფრანგისა და ინგლისის ჯარებმა მოქმედება გააცხოველეს; შამპანში და არტუაში გერმანელებზე მედგარი იერიში მოიტანეს, გაარღვიეს ფრონტი, სიღრმით სამი კილომეტრი ბრძოლის ველი წაართვეს, ტყვედ წაასხეს 25,000 გერმანელი და ხელთ იგდეს მრავალი ზარბაზანი და ტყვიის მფრქვეველი. გერმანელებმა შეაჩერეს ფრანგების წინსვლა. ალაგ-ალაგ დაიბრუნეს კიდეც წართმეული ადგილები. უკანასკნელი ცნობების მიხედვით გერმანელებს ჯარები გადაყავთ აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე, და თან დიდძალი საომარი მასალა გადააქვთ. თუ, როგორც იუწყებიან, მოკავშირეებმა შემოტევის ერა დაიწყეს კიდეცა, დასავლეთის ფრონტზე დიდი ამბებია მოსალოდნელი, რომლებიც პირველ ხანებში, შედეგის დაუცდელად, გავლენას მოახდენს რუსეთ-ეგრმანიის ფრონტის ვითარებაზედ.

მეგრი.

# შტაბის დეპეშები

**კავკასიის ფრონტი.**

**ტორტუმის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ღამით, 22 სექტ. ოსმალნი შეეცადნენ სოფ. კელინის აღებას, მაგრამ რუსთა ცეცხლის მიერ უკუქცეულ იქმნენ. დანარჩენ ფრონტზე მხოლოდ მოწინავე რაზმთა მცირე შეტაკება ხდება.**

**პეტროგრადი, 24 სექტ. ოფიციალი. დვინსკის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებმა რკინის გზისაკენ მოიტანეს იერიში. სასტიკი ბრძოლა ატყდი გრინვალდის რაიონში, სადაც მტრის მიერ დაჭერილ იქმნა რუსთა თხრილების ერთი ნაწილი. ბრძოლა გრძელდება. შიშკოვის რაიონში გრინვალდის სამხრეთით, რუსთა კონტრ-იერიშით უკუგდებულ იქმნენ გერმანელები. დემენდრის-ვიატი-ობოლის ტბების შუა ბრძოლა გრძელდება. ბოგინის ტბის სამხრეთით, ლიდას რკინის გზაზე, ორთავე მხარე მძაფრად იბრძვის. კოზიანის ჩრდილოეთით გოლოვსკთა რუსებმა თხრილებიდან ამოჰყარეს გერმანელები. 24 სექტ. სოფელი და დაბა კოზიანი ღამით აიღეს რუსებმა. აქ რუსებმა თავზე გადაიტანეს გერმანელთა სამგზობის მკაცრი იერიშების ცეცხლი. როგორც იყო აიღეს თხრილები, მაგრამ გერმანელთა ძლიერ არტილერიის ცეცხლმა საბოლოოდ მიატოვებინა ეს დაბა, თუმცა ნაწილი თხრილებისა კვლავ რუსების ხელში დარჩა. მდ. მაძიოლკაზე ზოგიერთ ადგილას რუსის**

# ჰაინეს ლექსები

შავის აფრით ჩემი ნავი
მძაფრ ტალღებში მიმოსცურავს;
იცი, რარიგ ნაღველში ვარ,
რარიგ ჩემს სულს სევდა ჰბურავს?
შენი გული, ვით ნიავი,
იცვლება და ჩემს გულს ჰკრულავს;
შავის აფრით ჩემი ნავი
მძაფრ ტალღებში მიმოსცურავს!

* * *

შენ მოიქეც უსირცხვილოდ,
განა მაგით მე რა მავნე?
ხალხს არ ვუთხარ, ზღვასთან მიველ,
თევზებს ყველა გავუმჟღავნე.
აქ კვლავ წმინდა სახელი გაქვს
და კვლავ სჯერათ შენი ფიცის,
მაგრამ ზღვაში შენს ნამუსზედ
ის ამბავი ყველამ იცის!

**სანდრო შანშიაშვილი.**

# სამართალი ჩვენში

ჩვენ იმაზე-კი არა ვსწერთ, თუ როგორ იყო წინად, ჩვენს სამეფოში, მოწყობილი სამართალი. ცხადია, მაშინ ყველა იმას ცდილობდა კარგად ყოფილიყო მოწყობილი სამართალი და, თუ სამართლის მოწყობას აკლდა რამ, ეს აიხსნებოდა მხოლოდ უცოდინარობით და არა მოუნდომლობით.

მიზეზი იმისა, რომ დღეს ჩვენში სამართალი თავის წმინდა დანიშნულებას ვერ ასრულებს, მდგომარეობს სხვათა შორის იმაში, რომ სამართალს განაგებენ ჩვენი ცხოვრების და ზნე-ჩვეულებების არა მცოდნე მსაჯულნი და სამართალი სწარმოებს ჩვენთვის უცხო და გაუგებარ ენაზე. ეს მოვლენა იმდენად ამახინჯებს სამართალს არსებას, იმდენად უძნელებს სამართალს თავის მიზნის მიხწევას, რომ სხვა ნაკლულევანებაზე ლაპარაკი მეტია.

ჩვენ შევეხებით იმ ნაკლულევანებებს სამართლის წარმოებაში, რომელი ერთნაირად მავნებელია სამართლისათვის არამც-თუ ჩვენში, არამედ ყველგან.

შესაძლებელია ვისმეს ეს კითხვა პრაქტიკულად ჩვენთვის უმნიშვნელო და სამეცნიერო სავარჯიშო ეგონოს. ამისთვის საჭიროა ავხსნათ ის დიდი მნიშვნელობა პრაქტიკული, რომელიც აქვს ამ კითხვის გამორკვევას ჩვენს ცხოვრებაში. მოგეხსენებათ, ერის საზოგადო ცხოვრება, საზოგადოება წარმოადგენს ერთს ორგანიზმს და ამ მხრივ კერძო კაცის ცხოვრებას მიაგავს იმით, რომ, კაცის სხეულს საცხოვრებლად აქვს თავისი უმთავრესი, ეგრედ წოდებული, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი, კაცთა საზოგადო ცხოვრებასაც აქვს ამგვარივე ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი. ამ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა შორის უმთავრესს მოთხოვნილებას წარმოადგენს სამართლის მოწყობა-გასამართლება.

კაცთა საზოგადო ცხოვრება შეუძლებელია უამისოთ; სამართლის უქონლობა გამოიწვევდა საზოგადოებაში უსამართლობას, ხოლო უსამართლობა დაარღვევდა და გააუქმებდა საზოგადოებრივ ცხოვრებას კაცისას. რაც უნდა იდეალურ ადამიანთა საზოგადო ცხოვრება წარმოვადგინოთ, რაც უნდა უმანკო და ანგელოზთა მზგავსი ხალხი იყოს საზოგადოდ შეკავშირებული, აუცილებლად საჭიროა წესი და რიგი ცხოვრებისა—საჭიროა კაცთა ერთმანეთ შორის და საზოგადოების წინაშე დამოკიდებულობის დაკანონიერება.

კაცმაც რომ არ მოაწყოს ეს დაკანონიერება, თვით ბუნება, კაცთა ცხოვრების და აგებულობის თვისება, ჰბადებს მას და აცხოვანებს საზოგადო ცხოვრებაში.

და თუ კაცის მარტოობა, მისი განცალკევებული ცხოვრება მისთვის შეუძლებელია და წარმოუდგენელი, ხოლო მისი საზოგადო ცხოვრება აუცილებლად მოითხოვს კანონიერებას, სჩანს, კაცის საზოგადო ცხოვრება კანონიერების განხორციელებას, კანონიერების დაცვასაც მოითხოვს.

აქედან ცხადია, რომ სამართალი საზოგადო ცხოვრებისათვის იმდენადვე საჭიროა, რამდენადაც კაცისათვის სმაჭამა და სხვა ამგვარი და სამართლის მოწყობა უპირველესი მოთხოვნილებაა საზოგადო ცხოვრებაში. სამართლის მოწყობასთან შეკავშირებულია ყველა მხარე საზოგადო ცხოვრებისა. ცუდად მოწყობილი სამართალი აფერხებს კაცის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, აღელვებს საზოგადოებას, უშლის მის სიმშვიდეს და იწვევს უწეს-რიგობას.

სამართლის მოწყობას წარმოადგენს კანონმდებლობა და სამართლის წარმოება: მსაჯულთა და სასამართლოს მდგომარეობა.

ძნელია ყოველმხრივ იდეალურად და უნაკლოდ მოწყობა სამართლისა, ხოლო ზოგიერთი ნაკლულევანებანი კანონმდებლობაში და სამართლის წარმოებაში მეტად აძნელებს და აფერხებს სამართლის საქმეს.

სამართლის მოწყობას ჩვენში შესამჩნევი ნაკლი აქვს,

ოოგორც ქვემოდ გვექნება აღნიშნული ბევრი და უმთავრესი ამ ნაკლთაგან რუსეთში უკვე მოშორებული და გაუქმებულია, ხოლო ჩვენში-კი დღესაც არის და უშლის ჩვენს საზოგადო ცხოვრებას სიმშვიდეს და სისაღეს.

დავიწყოთ კანონმდებლობიდან.

კანონმდებლობა და კანონები თავის მოქმედებაში ასრულებენ ორგვარ საქმეს:

ერთს ნაწილს კანონმდებლობისას აქვს დანიშნულება დაიცვას წესი და რიგი სამართლის წარმოებაში, ხოლო მეორე ნაწილი კანონმდებლობისა შეიცავს თვით სამართალს, ე. ი. განაგებს კაცთა ერთმანეთთა შორის და საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე უფლებას და ვალდებულებას.

პირველი ნაწილი კანონმდებლობისა ახორციელებს სამართლის კარგა მოწყობას და სამართლის მიერ ადვილად და უკეთესად თავის დანიშნულების განხორციელებას. ამიტომ ამ პირველი ნაწილის კანონების განხილვის და დაფასების დროს ჩვენ უმთავრესად ეს მხარე და ეს დანიშნულება უნდა გვქონდეს სახეში.

ხოლო მეორე ნაწილი კანონებისა წარმოადგენენ იმ დებულებათა კრებულს, რომელთაც უნდა შეეთანხმებოდეს ხოლმე კაცთა ერთმანეთთა შორის და საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე დამოკიდებულება.

ვინაიდან კაცის ეროვნული და ადგილობრივი განსაკუთრებითი თვისებანი: ჩვეულებანი, ფსიხოლოგიური და ფიზიკური აგებულება, ისტორიული გადმოცემანი, ყველა ეს თავის ბეჭედს ასვამს კაცის ცხოვრებას და კაცთა მოქმედებას; ვინაიდან კანონი თავის სიმაგრეს და ძალას უნდა ჰპოვებდეს არა მარტო ძალდატანებაში, არამედ კაცის მოწონებაში და თანხმობაშიაც; **კანონი ყოველთვის მიგვარებული და შეთანხმებული უნდა იყოს კაცის ეროვნულ განსაკუთრებულ თვისებებთან,** იგი სულიერად შეკავშირებული უნდა იყოს ერთან, უნდა სუნთქავდეს იმავე ჰაერს, რომელსაც სუნთქავს ერი და იყოს ეროვნულ გრძნობით და ზოგჯერ აზრითაც გამსჭვალული.

მართალია კანონი უმეტეს ნაწილად თავის შინაარსს და ფორმულას ჰპოვებს ხოლმე მზა-მზარეულად სხვა ერის ცხოვრებაში, იქ, საცა ცხოვრებამ ეს კანონი უმალ შეიმუშავა, მაგრამ კანონმდებელმა ამ ფორმულით უნდა ყოველთვის ისარგებლოს, როგორც ნიმუშით და უნდა მიაგვაროს ერის განსაკუთრებულ თვისებებთან.

უამისოდ კანონი ერის ცხოვრებისათვის და კაცის ფსიხოლოგიისათვის უცხო არის და როგორც ამგვარი დაკლებულია უდიდეს ასე ვთქვათ, ნათესაობრივ ძალას, დაკლებულია კავშირს ერის სულიერ განსაკუთრებასთან. ამგვარი კანონი ვერ ასრულებს თავის მიზანს და იქნობამდე, ვიდრე თვით ერის სიცოცხლე მას არ მიიგვარებს, სამართალს აფერხებს.

ჩვენ ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, გაუქმებულია ჩვენი ძველი კანონმდებლობა, მეფე ვახტანგის, ბექა და აღბუღასი და სხვა კანონმდებლობა.

(აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ დღევანდელ ცხოვრებისათვის დაძველებული და უვარგისია) და მოქმედობს რუსეთის იმპერიის კოდექსი (კანონთა კრებული) შეუცვლ

ჯარები გადვიდნენ, ზოგან წელამდე იდგნენ წყალში და ისე მიიკვლევდნენ გზას. სოფ. მამულისა და კოპროზის დასავლეთით რუსებმა მარჯვედ დაიჭირეს გერმანელთა ზოგიერთა თხრილები. სოფ. ზანაპოჩის რაიონში, ნარსის ტბის სამხრეთ ნაპირზე, გერმანელები ჯერ თხრილებიდან ამოჰრეკეს რუსებმა, მაგრამ მალე უკუგდებულ იქმნენ. რადგანაც გერმანელებმა ძლიერი კონტრ-იერიში მოიტანეს. სოფელი სემიონკა აიღეს რუსებმა. სოფ. ბოგუშეს რაიონში სმორგნის სამხრეთით, რუსებმა გერმანელთა პოზიციების ერთი ნაწილი დაიჭირეს. შეუძლებელია კვლავ არ აღვიაროთ რუს ჯარისკაცთა სიმამაცე, როდესაც ათას დაბრკოლებასა ჰლახვენ და ისე იჭერენ მტრის თხრილებს. პრიპიატის სამხრეთით რუსებმა აიღეს სოფ. ლისოსო, ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთით.

### მეფის ნაცვლის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის, მობძანება თბილისში.

მისი უმაღლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, თბილისში მობძანების დღეს, 23 სექტემბერს, ვანქის ტაძარსა და მუსულმანთა მეჩეთებშიაც ბძანდებოდა. სიონის ტაძრიდან მისი უმაღლესობა, თავისის უავგუსტოესის სახლობითა და ამალის თანხლებით, ვანქის ეკლესიაში გაემართა, რომლის გალავანში და გალავნის გარედ ჩამწკრივებული იყვნენ სომეხთა სასწავლებლების მოწაფენი. ეკლესიაში შებრძანებისას მის უმაღლესობას მიეგება შემოსილი სამღვდელოება, ეპისკოპოსის მესროპის წინამძღოლობით, რომელიც სამღვდელოების სახელით მიესალმა მისს უმაღლესობას. მცირე მღვდელთ-მოქმედების შემდეგ, დიდი მთავარი მხლებლებითურთ გაემართა სუნიტთა მეჩეთში. იქ დიდ მთავარს მიესალმა ამიერ კავკასიის მუფტი ბ-ნი გაიბოვი და სუნიტთა მოძღვარნი.

ბ-ნმა გაიბოვმა მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მიმართა მისს უმაღლესობას. მოისმინა რა იქ ლოცვა, მისი უმაღლესობა გამოემშვიდობა მუფტის და ამალითურთვე წაბრძანდა შიიტთა მეჩეთში. იქ უავგუსტოეს მეფის ნაცვალს მიეგება ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამი პიშნამაზ-ზადე, მრავალ შიიტთა მოძღვარი, ინტელიგენცია, მუსულმანთა საზოგადოების წარმომადგენელნი, ვაჭარნი, მოსწავლენი და სხ. მეჩეთში ძვირფას ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი იყვნენ უპირბადოდ მუსულმანთა უმაღლეს წრის დედანი კაჯარის პრინცესების მეთაურობით. ამიერკავკასიის შეიხ-ულ-ისლამმა, პიშნამაზ-ზადემ გრძნობით აღსავსე შესაფერისი სიტყვა უთხრა მისს უმაღლესობას და ლოცვა გარდაიხადა. აგრეთვე სიტყვით მიჰმართა დიდს მთავარს ბ-ნმა რაშიდ-ბეგ ახუნდზადემ. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გამოეთხოვა შეიხ-ულ-ისლამს და ამალითურთ სასახლეში წაბრძანდა. ორივე მეჩეთი ლამაზად იყო მორთული სპარსულ ხალიჩებით და ბაირაღებით.

## საზოგადოებანი და კრებები

### ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოება.

დღეს მიემგზავრება ბორჯომში საზოგადოების მიერ არჩეული საგანგებო დეპუტაცია, რომელმაც მოლაპარაკება უნდა გამართოს დიდი მთავრის მამულების გამგესთან ქართველ მოღვაწეთა აგარაკ-თავშესაფარისათვის საჭირო მიწის დათმობის თაობაზე.

დეპუტაციას შეადგენენ: ექვ. ს. თაყაიშვილი, იპ. პ. ვართაგავა და გ. თ. ჟორდანია.

### ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

24 სექტემბერს საზოგადოების საბჭოს კრება ჰქონდა, რომელსაც ივრის ხეობაში მეხილეობის ინსტრუქტორად ახლად დანიშნულმა ნ. კუმსიაშვილმა თავისი მოკლე მოხსენება წარუდგინა, საიდანაც სჩანს, რომ წელს ივრის ხეობაში არც ყურძენისა და არც ხილის მოსავალი არ არის. საბჭოს დავალების თანახმად, ბ-ნს კუმსიაშვილს სხვათა შორის დაუთვალიერებია რამდენსამე სოფელში ნაჭერი სასოფლო ადგილები საცდელ მინდვრების გასამართად და ყველაზე უფრო მოსწონებია გარეჯელების 2 ნაკვეთი ადგილი, ზომით თითო 10 დესეტინა, რომელთაგან ერთი მდებარეობს რკინის გზის სადგურის მახლობლად, ხოლო მეორე მდ. იორზე. ამ ორ ნაჭერში რომელსაც მოიწონებს საზოგადოება, გარეჯელები მზად არიან უსასყიდლოდ დაუთმონ სხვა და სხვა კულტურის საცდელად. საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ ჯერ კიდევ სხვა სოფლებშიაც დაათვალიეროს ადგილები ბ-ნმა კუმსიაშვილმა და რომელიც სამჯობინარო აღმოჩნდება, იმას აიღებს საზოგადოება. შემდეგ საბჭოს მსჯელობა ჰქონდა მამულის შეძენის შესახებ ქართლში საცდელ მინდვრისათვის. საგანგებო კომისიამ უკვე დაათვალიერა სოფ. სალოლაშენში ბ-ნ გ. ყიფშიძის მამული და თავისი შთაბეჭდილებანი წარუდგინა საბჭოს. მაგრამ საბჭომ საუმჯობესოდ სცნო, რომ სხვა მამულებიც იქნას დათვალიერებული, რადგან შეიძლება სხვაგან უმჯობესი მამული აღმოჩნდეს.

დასასრულ კრებამ თავის წარმომადგენლად იმ კრებაზე დასასწრებლად, რომელმაც რაიმე დანიშნულება უნდა მისცეს ვაჟა-ფშაველას დაკრძალვაზე გადარჩენილ ფულს, აირჩია ე. თ. ხუნდაძე.

### ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

დაბა ზესტაფონში გაიხსნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება.

— ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაამტკიცა ახალ-სენაკის არჩევნები და დასამტკიცებლად წარუდგინა ბ-ნს ქუთაისის გუბერნატორს. განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულია თავ. ბ. გ. მხეიძე, თავმჯდომარის ამხანაგად ქ-ნი ო. გ. ხოფერიასი, გამგეობის წევრებად ი. გ. ხოფერია, პ. ე. ლორთქიფანიძე, გ. ლ. ბოკერია, გ. ლ. ქავთარაძე (ხაზინადარი) და გ. ი. მაღნარაძე (მდივანი); მათ კანდიდატებად მღ. ნ. ო. გუნია, ბ. მ. ქობულია და ბ. დ. ლაბარტყავა.

## ახალი ამბავი

◆ **ქალაქთა კავშირის** კავკასიის განყოფილებას ნავარაუდევი ჰქონდა თითო კრაოტის შენახვა თვეში 29 მან. 34 კ., მაგრამ სურსათის გაძვირების გამო თითო კრაოტის შენახვა დაუჯდა 30 მან. 30 კაპ. ამისგამო კავკასიის განყოფილება მოხსენებას გაუგზავნის კავშირის ცენტრალ კომიტეტს და სთხოვს, რომ ხარჯთაღრიცხვის ჯამი გადიდებულ იქმნას.

◆ **დეპუტატი აკაკი ჩხენკელი** ავად გამხდარა და ამ ჟამად პიატიგორსკში იმყოფება საექიმოდ. დეპუტატს განზრახვა ჰქონია ყარსის ოლქში წასულიყო, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი.

◆ **წარმომადგენელთა კრება.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით 30 სექტემბერს კრება უნდა შესდგეს, რომელსაც დაესწრობიან წარმომადგენელნი იმ დაწესებულებათა, რომელთაც თავიანთი წვლილი გაიღეს ვაჟა-ფშაველას ნეშთის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად. კრების საგანია, რაიმე დანიშნულება მისცეს იმ ფულს, რომელიც დაკძალვის ხარჯებს გადარჩა.

◆ **ფოთის მოურავის** ნაცვალმა ბ-ნმა გ. ა. ტყემალაძემ სთხოვა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, გაუგზავნოს საქალაქო მამულებისა და ბაღის მოვლა-დასამუშავებლად აგრონომი და ნასწავლი მებაღე.

◆ **რუსული გაზეთები.** „კავკასი“, „კავკასკოე სლოვო“, „ზაკავკაზსკია რეჩი“ და „ტიფლისკი ლისტოკი“ 24 სექტემბებს, საღამოს, 25 გაზეთების გამყიდველებმა არ აიღეს გასასყიდათ. მიზეზი ის იყო რომ გამომცემლებმა თითო ცალ გაზეთში მოსთხოვეს გამყიდველებს $4^1/2$ კაპეიკი და გაუყიდველად დარჩენილ გაზეთების უკან მიღებაზე უარი თქვეს.

◆ **თბილისის რუსულ გაზეთების** გამომცემლებმა, გარდა „გოლოს კავკასისამ“, გაზეთები გააძვირეს. 25 სექტემბრიდან ცალი ფასობს 6 კაპ. მიზეზი ამისა არის ქაღალდის გაძვირება.

◆ **ახალი სკოლა.** ქალაქის თვითმართველობის სამოსწავლო კომისიას აზრად აქვს წერა-კითხვის სკოლა გახსნას ავჭალაში. ამ საგნის შესახებ გადაწყვეტილებას ხვალ, 26 სექტემბერს, გამოიტანს კომისია.

◆ **ხოლერა.** ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს 24 სექტ. ხოლერიანი 4 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 5 კაცი. გუშინ, 25 სექტემბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 125 და ხოლერის ნიშნებით 10 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** 25 სექტემბერს ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 42, ქუნთრუშიანი 53, საოფლიანი 27, ხუნაგიანი 24, მუცელაიანი 1 და ყვავილიანი 1 კაცი.

◆ **სურსათი.** თბილისში მოტანილია: ფქვილი 12 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., ხილი 2 ვაგ., ქერი 15 ვაგ., თივა 1 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ნავთი 4 ვაგ., მატყლი 1 ვაგ., თევზი და ხიზილალა 1 ვაგ., ჩაი 197 ფუთი, ფეტვი 409 ფუთი, კომბოსტო 128 ფუთი, კარაქი 273 ფუთი, ქათმები 181 ფუთი, ქონი 106 ფუთი.

◆ **დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცები.** თბილისის ლაზარეთში იმყოფებიან შემდეგი დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი: უსუფლადიშვილი ალექსი ივანეს ძე, თათარაშვილი მოსე ნიკოლოზის ძე, სიმონია სიმონ სტეფანეს ძე, ალანია დიმიტრი მაქსიმეს ძე, შალამბერიძე ალექსანდრე, ლატარია ანდრო პავლეს ძე, შარაშანიძე პავლე ალექსის ძე, გულიაშვილი ზაქრო დიმიტრის ძე, ბუტიაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, ქურაშვილი იოსებ თედორეს ძე, ბერაძე შალვა სამსონის ძე, ჩახავა გიგო ლევანის ძე, შააშვილი ალექსი დიანოსის ძე, გიგიბერია იოსებ პავლეს ძე, ჩიგოვაძე ბიქტორ მაქსიმეს ძე, გელაძე აქსენტიესეს ძე, სიმონაშვილი მიხაკო სიმონის ძე, გარუგაია რომანოზ ივანეს ძე, პაცაცია დიონისე, პაილაძე ონისიმე პავლეს ძე, ბაისონაშვილი ესტატე, მიქატაძე დათა, მეტონიძე იოსებ საბას ძე, გრიგოლია კლიმენტი მელიტონის ძე (პრაპორშჩიკი), ხუგაშვილი სოლომონ სპირიდონის ძე, დათელია ონიფანტე, კიკნაძე იასონ გიგოს ძე.

## პროვინციის ქრონიკა

—:—

### კოოპერაცია სოფლად.

ს. კაცხის (შორაპ. მაზ.) და ბასილეთის (გურია) საზოგადოებებმა დაადგინეს გახსნან კოოპერატიული დუქანი.

### ბავშვის გატაცება.

ადგილობრივ მცხოვრებს ებრაელ ეფრემ აჯიაშვილს თავს დაესხა სამი შეიარაღებული და მოსტაცა 16 წლის შვილი. ბოროტ გამზრახველები მამას ბავშვის სიკვდილით ემუქრებიან, უკე თუ სასყიდელს არ მოგვიტანო. როდის იქნება თავგასული ავაზაკები სამუდამოდ აღიგავნენ მიწის პირიდან, რომ მშვიდობიან ხალხს არ აწუხებდნენ?

### დადგენილება.

ქუთაისის და სოხუმის თავებმა შუამდგომლობა აღძრეს, რათა ქუთაისში და სოხუმში გაიხსნას, ქალაქთა კავშირის ლაზარეთი.

### ქალის გატაცება.

სოფ. ყაპანაქში (ბორჩ. მაზრა) 5 შეიარაღებული სახლში შეუვარდა მჰმედ-ახმედ ოღლის და მოსტაცეს ქალიშვილი ზილფირა. შეტაკების დროს თოფით დაიჭრა ადგილობრივი მცხოვრები ისკანდერ ოღლი.

### ქალაქის თავის დამტკიცება.

სოხუმის ქალაქის თავად გუბერნატორმა დაამტკიცა თავადი ნ. კ. თავდგირიძე.

### ქ უ თ ა ი ს ი.

კვირას 13 სექტემბერს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის შენობაში გიმნაზიის დირექტორის გარბუნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა [illegible] საქალებო გიმნაზიის [illegible] კრება. კრების მთავარი საკითხი იყო თუ როგორ უნდა მოიქცნენ მოსწავლეები სკოლის გარედ. კრების დადგენილებით მოსწავლეთ ეკრძალებათ ბაღებში და ქუჩებში სეირნობა წირვის გამოსვლამდე. ეკრძალებათ აგრეთვე თეატრებში და გასართობ ადგილებში 12 საათის შემდეგ დარჩენა, ისიც მაშინ, როცა ნებართვა ექნებათ უფროსებისაგან, ახლო ნათესავის თანხლებით.

## აჭარლების გასამართლება

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

17, 18 და 19 სექტემბერს მოხდა გასამართლება ცხრა ზემო აჭარლებისა: 1) ყადი ნური ეფენდი ბერიძისა—65 წ., 2) ფეგრატ მეხაშიძისა—52 წ., 3) დურსუნ ბოლქვაძისა—40 წ., 4) ოსმან ჩავალიძისა, 5) ახმედ ბეჟანიძისა—55 წ., 6) იუნუს მელაძისა—28 წ., 7) მეხტი გარგაძისა—35 წ., 8) ხუსეინ ირემაძისა—28 წ. და 9) მერეჯან დევიძისა—22 წ.—ყველა ამათ ბრალდებოდათ რუსის ჯარების წინააღმდეგ იარაღით მოქმედება. იცავდნენ ბრალდებულთ ნაფიცი ვექილები: თავ. მექი ფაღავა, ი. მაჭავარიანი, ევ. გეგეჭკორი, მუატი, გ. ანჯაფარიძე და სახნოვსკი.

მოწმები—თითქმის ყველა სომხებია.

პირველად ჩვენება ჩამოართვეს შუშანიკის მამას, ვისი ქალიშვილიც ცოლად წამოუყვანია ხუსეინს—ლომაიანცს. მოწმე იძულებული იყო მიეცა ხუსეინისათვის ქალიშვილი, რათა სიკვდილისაგან თავი ეხსნა. თუმცა პირადად მას უნახავს, რომ ხუსეინი ჩეტნიკების რაზმში ყოფილიყო, მაგრამ, ხშირად რაღაც განკარგულებებს ასრულებდა ჩეტნიკების უმფროსის ზაბიტ ბეგისას. მოწმე ფიქრობს, რომ ხუსეინი უეჭველად ეკუთვნოდა ზაბიტ-ბეგის რაზმს, რადგანაც მას ჰქონდა თოფი გერმანიის მარკისა. ასეთივეა მისი ჩვენება შესახებ იუნუსისა, ალისა და მერეჯანისა. სხვათა შორის მოწმე ადასტურებს იმ გარემოებასაც, რომ ხუსეინი იცავდა მათ ჩეტნიკების თავდასხმისა და უდიერობისაგან.

თვით შუშანიკა ლომოიანცი—მხარს უჭერს მამის ნაჩვენებს.—აქვე ვექილების შეკითხვით ირკვევა ისიც, თუ რამდენჯერ, სად და როდის ხუსეინს, ალის, იუნუსს და მერეჯანს მოუტყუებია ჩეტნიკები და ბევრი სომხის ოჯახი სიკვდილისაგან გადაურჩენიათ.

შემდეგი მოწმე ტირუნა სტეფანიანცი, ცოლი ალისა—ადასტურებს პირველად მის მიერ ნაჩვენებს შესახებ იმისა, რომ ალიმ სიკვდილის დამუქრებით აიძულა ის მას ცოლად გაყოლოდა, მაგრამ უარს ამბობს მეორე ჩვენებაზედ შესახებ ალის ჩეტნიკებთან ერთად რუსის ჯარების წინააღმდეგ მოქმედებისას.

ფრიად საყურადღებო ჩვენებას იძლევა მამა ტირუნასი ზაქიოს ბუოხლიანი.—ბუოხლიანი სცხოვრობს სოფელ ოქრობაგეთში, აქ დასახლდა ალი 3—4 თვის წინედ მისი ქალის შერთვამდინ; რისთვის მოვიდა ოქროს ბაგეთში ალი—მან მოწმემ დღესაც არ იცის; ალისა და ხუსეინას მეტი ჩეტნიკი ოქრობაგეთში არვინ ყოფილა. ამიტომ ალი და ხუსეინა დარაჯობდნენ სოფელს, ხშირად მომხდარა, რომ ამ სოფლად ჯგუფ-ჯგუფად გაუვლიათ ჩეტნიკებს, მაგრამ არც ალის და არც ხუსეინას მათთან საქმე არ ჰქონიათ. ალი და ხუსეინა მისთვის მიუჩნევია მას ჩეტნიკებად—რომ მათ მას ქალის ხელი სთხოვეს, ისიც იძულებული იყო თანახმა გამხდარიყო, რათა ამით ცოლშვილი განსაცდელისაგან ეხსნა. ვექილი ფაღავას შეკითხვაზედ, რისთვის, როდესაც მთავრობამ ოქრობაგეთში ჩეტნიკები შეიპყრო—ალი და ხუსეინა არვის შეუპყრია;

ლად და მოუგვარებლად ჩვენს განსაკუთრებულ თვისებებთან.

ხოლო ჩვენი ცხოვრება ბევრით განირჩევა იმპერიის სხვა კუთხისაგან და ამიტომ, თუმცა მთელი კოდიკსი კი არა (მაგ. ვექსილის უსტავი და სხვა ბევრი ამგვარი), ზოგიერთი კანონები ამ კოდექსისა უნდა შეცვლილი იყოს ჩვენთვის და მიგვარებული ჩვენ განსაკუთრებულ თვისებასთან.

ჩვენმა ცხოვრებამ დაჰბადა ბევრი ისეთი თავისებური იურიდიული მოვლენა, რომლისათვის რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას არა აქვს შემუშავებული კანონი და სამაგიეროდ ბევრი კანონი რუსეთის კოდექსისა არ ვარგა ჩვენ ცხოვრებისათვის და ეწინააღმდეგება ჩვენი ერის იურიდიულ ფსიხოლოგიას.

მაგალითები შორს წაგვიყვანდა, ხოლო მაინცადამაინც რომ სულ დაუმტკიცებლად არ დარჩეს ეს ჩვენი აზრი მოვიყვანთ ორ-სამ მაგალითს: ჩვენში, მთიან ადგილას არის განსაკუთრებითი გეოლოგიური მოვლენა, როგორიც სხვაგან თითქმის არსად ხდება; ასე წოდებული მეწყერი მოგლეჯავს ხოლმე ვეებერთელა ნიადაგს და ჩამოიტანს ძირს და მით დაფარებს ხოლმე უწინდელს ნიადაგს. მოხდება ხოლმე მთელი მსხმოიარე ბაღი ან ვენახი მთლად ჩამოვა ხოლმე და სხვის ვენახს და ბაღს ზევით მოთავსდება ხოლმე, ასე რომ უწინდელი ბაღი და ვენახი ქვეშ დარჩება დაფარული და მას ზევით დაურღვევლად სდგას ზევიდან ჩამოგლეჯილი ბაღი ან ვენახი. ვისია ეს ბაღი ვენახი ან ბაღი? იმისი, ვისიც ადგილია, ე. ი. ვისი ბაღიც ქვეშ მოჰყვა, თუ იმისი, ვისიც წინად იყო?! ამგვარი კითხვა რუსულს კანონებს არა აქვთ გადაწყვეტილი და ეს დავა რუსული კანონებით ვერ გადაწყდება.

ძნელი გადასაწყვეტია აგრეთვე ბევრგვარი ამხანაგური იურიდიული დამოკიდებულებანი, რომელიც გამოიკვლია ჩვენმა მთებში ცხოვრებამ და რომელთა მაგალითი რუსეთის ცხოვრებამ არ იცის. ბევრია აგრეთვე ჩვენ მეზობელთა ერთმანეთში დამოკიდებულებაში ისეთი ჩვეულებანი და იურიდიული მოვლენანი, რომელთათვის კანონს არა აქვს შემუშავებული განცალკევებული ფორმულა და გასამართლების დროს მსაჯული იძულებულია სხვა მონათესავე და ერთგვაროვან კანონს მიჰმართოს ხოლმე და ისე შედარებით გადაწყვიტოს დავა.

უფრო მეტად მოუხერხებელი არიან ჩვენის ცხოვრებისათვის რუსეთის კოდექსის ის კანონები, რომელნიც კაცის დანაშაულობას და დასჯას განაგებენ.

ჩვენი ერის პსიხო-ფიზიოლოგიური და ისტორიული განსკუთრებული თვისებანი მოითხოვენ, რომ ზოგიერთი ამგვარი კანონთაგანი შეცვლილი იყოს და შეუთანხმდეს ჩვენს ეროვნულს ფსიხოლოგიას.

მაგალითად ჩვენში ზოგიერთი, რუსულად მარტო კაცის შეურაცხყოფად ცნობილი, დანაშაულობა არ წარმოადგენს უბრალო შეურაცხყოფას და უნდა დაისაჯოს ხოლმე მეტად, ვიდრე რუსულ კოდექსშია ნაჩვენები. რაჭაში, გურიაში და თითქმის ყველგან ჩვენ საქართველოში, ცხენს რომ კუდი მოჭრას ვინმე მარტო, რუსულად რომ იტყვიან, „აბიდას“ კი არ მიაყენებს, არამედ დიდს დანაშაულობას ჩაიდენს ცხენის პატრონის წინაშე და მსაჯულმა ამისდა მიხედვით დამნაშავეც მეტად უნდა დასაჯოს, ვიდრე ის, ვინც მარტო გინებით შეურაცხყოფს კაცს.

საზოგადოდ საქართველოში შეურაცხყოფას უნდა მეტ დანაშაულობად სთვლიდნენ, ვიდრე სხვაგან და მეტადრე რუსეთში, რადგან ჩვენი ერი უფრო მეტი მგძნობიერი, ფიცხი გულის არის.

ამასთანავე ზოგიერთი დანაშაულობა ჩვენში დროთა და ისტორიის გავლენის გამო თავის დანაშაობლივი მნიშვნელობით უნდა უფრო შემცირდეს და მისთვის სასჯელი შეიცვალოს.

ბევრია აგრეთვე შესაცვლელი და შესათანხმებელი ჩვენ ცხოვრებასთან სხვაგვარი კანონიც.

ვიმეორებთ ყველა ეს ნაკლულევანება ჩვენი კანონმდებლობისა მოხდა იმისაგან, რომ სამართალზე მზრუნველნი ჩვენში არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ჩვენ სამშობლოს ცხოვრების განსაკუთრებულ თვისებებს.

მაგრამ ეს ნაკლი სამართლის წარმოებაში ისეთი მავნებელი არ არის, როგორც ნაკლულევანება მეორე ნაწილის კანონმდებლობის, იმ კანონების და სამართლის მოწყობას, რომელთაც აქვთ მიზნად სამართლის წარმოება. დროთა ვითარებას და ჩვენ მ'აჯულთა დაკვირვებას თან და თან შეეძლიან რუსული კანონები შეასწოროს და შეავსოს ჩვენ ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით და ამგვარად ბევრად თუ ცოტად რუსული კოდექსის ნაკლულევანება ჩვენ სამშობლოსათვის შეიძლება შემცირდეს. ამასთანავე კოდექსის ნაკლულევანება გამოწვეულია ჩვენი ცხოვრების უცოდინრობით და ისეთ მიზეზების გამო, რომელნიც მაინცა და მაინც გვაიმედებს, რომ როდისმე ეს ნაკლი გაუქმდება. ხოლო მეორე ნაწილის კანონ მდებლობა, ე. ი. კანონები, რომელიც შეეხებიან სამართლის წარმოებას განძრახ არ იცვლებიან და ძველებურად რჩებიან, რითაც სამართალის წარმოება ჩვენში მეტად ფერხდება, გადავიდეთ ამ მეორე ნაწილის კანონმდებლობის განხილვაზე და დავიწყოთ იმ კანონებისაგან, რომელთაც აქვთ მიზნად მოაწყონ სამართლის წარმოება.

გ. გძელიშვილი.

მოწმე აჩვენებს, რომ სოფლის დადგენილებით ხუსეინა და ალი სოფლის დამცველებად იყვნენ ადიარებულნი.

მოწმე ჩილაიანი — ადასტურებს, რომ თითონ ნახა მან დამნაშავენი ჩეტნიკების რაზმში, მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ ჩეტნიკების ოქრობაგეთში შემოსვლის დროს — მოწმე სადღაც მიმალული ყოფილა და მათი ჩეტნიკების რაზმში ყოფნის ამბავი მხოლოდ გაუგონია.

ამავე მოწმეს პირველად უჩვენებია, რომ მას თავის თვალით დაუნახავს, თუ როგორ, იუნუსი, ხუსეინა და ალი ჩეტნიკებთან ერთად სოფ. სახაროსთან ესროდნენ რუსის ჯარებს და რომ შინ ცარიელი პატრონებით დაბრუნდნენ, მაგრამ ბრალმდებელისა და დამცველების შეკითხვის შემდეგ — უარსა ყოფს თავის ჩვენებაზედ.

ასეთივეა ჩვენება ბარსელიანისა, რომელიც ჯერ ამოწმებდა, რომ თითონ თავის თვალით დაინახა, როგორ ბრალდებულები რუსის ჯარებს თოფებს ესროდნენ არდაგანთან ბრძოლის დროს, მაგრამ მერმე უარობს — მე მეშინოდა, დამალული ვიყავი და ნახვით არაფერი მინახავსო.

მოწმე ბანდურიანი ადასტურებს, რომ ალი და ხუსეინი ჩეტნიკები იყვნენ, რადგანაც იარაღს ატარებდნენ. სომხებმა მათ 500 მან. აძლიეს, რომ სომხის ქალებისათვის ხელი არ ეხლოთ, მაგრამ მათ ფული ქალები არჩიეს. არ გასცეს ისინი, როდესაც რუსის ჯარები მოვიდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ არ გაქცეულიყვნენ და თან სომხის ქალები არ წაეყვანათ.

ბრალდებული იუნუსი ამბობს, რომ მოწმესა და მას შორის კარგი განწყობილება შეწყდა მის შემდეგ, როდესაც მან მთავრობას მიუთითა იმ იარაღზედ, რომელიც მოწმის ოჯახში ინახებოდა. ეს იარაღი მას ჩამოართვეს, რის გამო გაჯავრებული მოწმე დღეს მას ცილსა სწამებს.

ურიადნიკი კოსიანოვი აჩვენებს, რომ ის ტყვედ წაყვანილი იყო, მაგრამ ამ ტყვეობიდან გააქცია ის ბრალდებულმა მერადჟანმა.

მოწმე ოგანესიანი ადასტურებს წინანდელი მოწმეების ნაჩვენებს თითქმის იმავე სახით და დასძენს, რომ ბრალდებულების მონაწილეობა რუსის ჯარების წინააღმდეგ მან იცის თვით მათი ნაამბობისგან.

ფრიად საყურადღებოა ჩვენება შავშეთ-იმერხევის უფროსის თანაშემწის ალმასრულებელის ნიკოლენკოსი. როდესაც ის შეუდგა მავნე პირების ძებნასა და ჭერას, სომხებმა თხოვნით მიმართეს მას, რომ ალი და ხუსეინი არ დაეჭირათ, რადგანაც ისინი იყვნენ სოფელ ოქრობაგეთის დამცველნი და დიდის სიყვარულითა და ნდობით იხსენიებდნენ. მაგრამ მათი შეხედულება შეიცვალა მის შემდეგ, რაც ამ სოფელში ჩამოვიდა სომეხი მასწავლებელი ტერ მანუელიანი, რომელიც აჭარლებისა და მუსულმანებისადმი ზიზღს ქადაგებდა. ეს მასწავლებელი მავნე მიმართულებისათვის მთავრობის განკარგულებით გაძევებულ იქმნა ამ სოფლიდან. მეტადრე გამწვავდა საკითხი მას შემდეგ, რაც სომხებმა იწყეს თხოვნა იმ მამულებზედ დასასახლებლად, რომელნიც გაქცეულ აჭარლებისაგან მიტოვებულ იქმნენ.

პირველი სიტყვა ეკუთვნა ბრალმდებელს. მან თავის წინასიტყვაობაში მოკლედ და მკაფიოდ განმარტა ის აზრი, რომ დღეს ბრალსა სდებს და ამტყუნებს 9 აჭარელთა ნაძირალებს და სრულებით არა აჭარელ ხალხს. შემდეგ ამისა შეუდგა თვით ბრალდებულთა გამტყუნებას.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ვექილი მაჭავარიანის სიტყვამ, მისი სიტყვა იყო შესაფერი პოლიტიკურ მომენტისა და ფრიად საფუძვლიანიც. კარგად იცავდნენ აგრეთვე: გეგეჭკორი, ანჯაფარიძე, მუხატი და სახნოვსკი. მეორე დღეს ხუთი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განჩინება: იუნუსს მელაძეს, ალი გარგაძეს, ხუსეინა ირემაძეს, მერაჯან დევიძეს, ფეგრატ მეხამიძეს და დურსუნ ბოლქვაძეს — ღირსების ახდა და ჩამოხრჩობა.

ყადი ნური ეფენდი ბერიძე, ოსმან ჩაგანაძე და ახმედ ბეჟანიძე — გაამართლა.

ზემო მოხსენებულ პირების შესახებ სასამართლომ დაადგინა: იშუამდგომლოს მ. იმ. უდ. ნიკოლოზნიკოლოზის ძის წინაშე სიკვდილით დასჯა სხვა სასჯელით შეუცვალონ.

---

P. S. საჭიროა მიექცეს მღვდელმთავარ ლეონიდეს ყურადღება ერთ ფრიად სამწუხარო მოვლენას. ბორიტი ენები ამბობენ, რომ მღვდელი ჩ--ძე დაპირებია ამ საცოდავებს განთავისუფლებას და კარგადაც მოუთბია ხელი. რაკი ეხლა ისინი გამართლებულნი არ გამოვიდნენ — მას მეორე ხერხისათვის მიუმართავს. წაუყვანია თბილისში მათი ჭირისუფლები ეგზარხოსთან სათხოვნელად, რათა მან აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს გასამართლებულების სრულს განთავისუფლებაზედ. რაღა თქმა უნდა მოხერხებული ხუცესი აქაც ეცდება უპატივცემულოდ არ დარჩეს. თუ დროზედ არ აელაგმეთ მისი მოქმედება — სწორედ მოგახსენოთ ამ ერთი ადამიანის მოქმედებას შეუძლია მთლად ერთიანად შესცვალოს ქართველების კეთილი განწყობილება ისედაც ჩამოშორებულ მოძმე აჭარლებთან.

Homo novus.

## ბანონზე გადაბიჯება ქიზიყში

ამ რამდენიმე დღის წინად „საქართველოს“ № 87-ში ცნობა იყო, რომ აუტანელ და გაჭირვებულ დროს ქვემო ქიზიყელებს დაახლოვებით 15 სოფელს ბრძანება მიუვიდა, სიღნაღსა და დედოფლის წყაროს (თუქურმიშის) შუა მდებარე გზა სიგრძით 36 ვერსი შეკეთებულ უნდა იქნასო! ეს ბრძანება ვისგან და საიდან მოუვიდა, რომ გეკითხნათ რომელსამე სოფლის მამასახლისისთვის, ან თვით სოფლის მცხოვრებისთვის, ვერაფერს გეტყოდნენ! ბოლოს გამოირკვა, რომ ბრძანება იგი ყოფილა ვინმე ტეხნიკ ასტანინისა, რომელიც მსახურობს თბილისის გუბერნიის საამშენებლო მართველობის განყოფილებაში.

იგი სწერს მაჩხაანის ბოქაულს თ-დ შაქრო გურამიშვილს შემდეგს:

მოგვყავს ასლი:

თუქურმიშის გზატკეცილის გაშინჯვის შემდეგ გამოირკვა რომ აუცილებელი საჭიროებაა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის გაკეთებას, მით უმეტეს, რომ მდგომარეობა გვაიძულებს და გვითითებს უფრო სერიოზულად შევხედოთ გზების საკითხს. თანახმად ჩემის მოლაპარაკებისა ბ. მაზრის უფროსთან, როგორც ზედამხედველთან ზემო აღნიშნულის გზისა, კამანდიროვკაში გამოგზავნილია ზედამხედველი ბ. ხრიჟანოვსკი. საზოგადო ზედამხედველობა და გაკეთება ხელოვნურ შენობებისა მექნება ჩაბარებული მე. მუშაობა შირაქის პოლიციურ ნაწილში დაიწყება ხუთ მარიამობისთვეს. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ ამ დროისთვის გამოუძახოთ 190 კაცს: ნიჩბებით, წერაქვებით და აგრეთვე 60 ურემით. ამასთანავე ყველა ურემს უნდა მოსდევდეს თითო მეურმე და დამხმარე კაცი ნიჩბით. ეს რიცხვი საჭიროა სანამ მუშაობა გათავდება. თუ ვინიცობაა მცხოვრებნი სცნობენ თავიანთთვის უფრო ხელსაყრელად, ბეგარა შესცვალონ ფულად, რისთვისაც საჭიროა 28817 მან. ბეგარაზე გაწვეულ იქნება 11062 კომლი, ამისათვის კომლზე მოდის 2 მან. 50 კაპ. ამ შემთხვევაში ფული უნდა იყოს შეტანილი ხაზინაში ჩეკის წიგნაკით აღმაშენებელ კომიტეტის სახელზე, რომლის წევრებადაც უნდა იყოთ **თქვენ, მე, მამასახლისი და საზოგადოების წარმომადგენელი**. შედეგზე გთხოვთ შემატყობინოთ დროზე ქ. სიღნაღში. ჩემს სახელზე სიღნაღის საპოლიციო მართველობის საშუალებით, ტეხნიკოსი საამშენებლო განყოფილებისა თფილისის საგუბერნიო მართველობისა **ა. ახტანინ.**

მიუხედავად იმისა, რომ ბ. ასტანინი ამბობს: ხალხს შეუძლიან ბეგარა ფულად შესცვალოსო, ეს ხალხისთვის არ გამოუცხადებიათ. პირდაპირ დაიწყეს ფულის კრეფა. ხალხს მამასახლისი, გზირი და სტრაჟნიკები წაესია: ჩქარა ფული!

როგორც ასტანინის მიწერილობიდან მკითხველი ჰხედავს, უნდა შეაკეთონ 36 ვერსიანი გზა, კიდევაც შეაკეთეს, მორჩნენ, მაგრამ ვაი იმ შეკეთებას! ერთი კაცმა უნდა ნახოს ეს შეკეთებული გზა რომ სთქვას: ქიზიყო, როგორ მოგატყუესო. მაგრამ ქიზიყმა რა ჰქმნას, როდესაც მას უბრძანებენ? გზა უფრო გააფუჭეს. ერთის მხრიდან არხი გაჭრეს, სიღრმე სიგანით არშინის მეოთხედი და აყალო მიწა შუაგულ გზაზე დაჰყარეს. წვიმის დროს არა თუ კაცი, ეტლიც კი ველარ დადის, ისე ატალახდება ხოლმე. ბოგირის ნაცვლად დახევებული ადგილები დამპალ შეშით ამოავსეს, ზედ მიწა და ქვა მიაყარეს, რაიც მეორე კვირასვე ჩაინგრა: კიდევ შეაკეთეს, კიდევ ჩაინგრევა. ზოგიერთ ადგილას არხი ისე გადასჭრეს, რომ შეიძლება ღვარმა გზა სრულიად დაანგრიოს. ყველაფერს ამას ადგილობრივ ნახვა უნდა. ასეთს შეკეთებაზე 800 მანეთამდე დაიხარჯებოდა, და არა 28,817 მანეთი, მით უმეტეს, ციხის ტუსაღები ამუშავეს, რომელთ სულ არად ჩასაგდებ ფასებს აძლევდნენ. ერთის სიტყვით, ხუთმეტ სოფელს ფული გამოართვეს და გზა არა თუ გააკეთეს, პირიქით გააფუჭეს, და ვინ არის ამის შემამოწმებელი? ვინ არის ამის კანტროლი? ახლა მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ერთ გარემოებას.

**სიღნაღის პოლიციის ადმინისტრაციამ ყურადღება არ მიაქცია ბ. ასტანინის ბრძანებას და ამით მან უმაღლესად დამტკიცებულ კანონს გვერდი აუხვია და თვითნებობა გამოიჩინა. წესდება [1]) საგლეხო ბეგრის შესახებ წიგ. მე-4, მუხ. 286 უკრძალავს ბეგარის მაგიერ ხალხმა ფული გაიღოს, უკეთუ ეს მოხდა, უნდა მოხდეს შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით, ისიც იმ შემთხვევაში, უკეთუ განაჩენებით ხალხი შუამდგომლობას აღძრავს.**

სიღნაღში კი ყველაფერს გვერდი აუხვიეს, უმაღლესი კანონი დაარღვიეს, ხალხს მცირე სამუშაოსთვის ბეგარა ოქროდ აქცევინეს და ტუსაღები ამუშავეს. გაათავეს გზა, რომ ხვალ ისევ დაინგრეს და კიდევ აკრიფონ ფულები.

გაცნობებთ რა ამ ამბავს, აგრეთვე ვშუამდგომლობთ უმაღლეს მთავრობასთან, რომ განკარგულება მოახდინოს და გამოარკვიოს დედოფლის წყაროს გზის საქმე. რას გვახდევინებენ ამ გაჭირვებულ დროს ამდენს ფულს, როცა საკვებისთვისაც არა გვყოფნის! ანდა თუ გვახდევინებენ, ვინ იღებს, რატომ გზას არ ხმარდება?!

იმედია, ეს ჩვენი ხმა უყურადღებოდ არ დარჩება და ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ. ვთხოვ ეს ცნობა ადგილობრივ სხვა ქართულმა და რუსულმა გაზეთებმაც გადაბეჭდონ.

ქიზიყელები. [2])

---

[1]) Ст. 286 кн. IV, Уст. о Зем. Пов.

[2]) ხელს აწერს 60 კაცი ქიზიყის სხვა და სხვა სოფლიდან.

## რუსეთის ცხოვრება

პეტროგრადში ხორბლეულობის დიდი ნაკლებულობაა. საბარგო მატარებლები დანიშნულებას ვერ ემსახურებიან ჯეროვნად. ამ ჟამად პეტროგრადში მხოლოდ 200 ფუთამდე პურისფქვილი მოიპოვება. აქ შედის დაბალ ხარისხის ფქვილიც, აქვე შედის ის ფქვილიც, რაც მეფურნეებს თავიანთთვის ჰქონიათ დაკვეთილი. მდგომარეობა სერიოზულია. ხალხი ჰღელავს...

აგრეთვე კრიზისია შაქრისა. ესეც ყველაზე მეტად საგრძნობელია პეტროგრადში. არა თუ თაობით, თვით ფხვნილის ყიდვაც კი გაძნელდა. დღეში პეტროგრადს სჭირდება 20 ვაგონი შაქარი. პეტროგრადის გზით აუარებელი შაქარი მიდის ჩრდილოეთის გუბერნიებში და ფინლიანდიაში. პეტროგრადი კი ეხლა იმდენს იღებს, რომ სათქმელადაც არა ჰღირს, დღეში ხან ერთს, ორს, გაჭირდეს რამდენიმე ვაგონს. გზათა სამინისტრო უკიდურეს ზომებს იღებს, რომ მოაწესრიგოს ვაგონების მიმოსვლა და შაქრით მაინც რაოდენადმე უზრუნველჰყოს პეტროგრადი.

პეტროგრადში ცხოვრება გაძნელდა. აუარებელი ხალხი მოაწყდა. ვიდრე ბინას იშოვნიან, ათი-თხუთმეტი სასტუმრო უნდა მოიარონ. ასეთ „სტუმართა“ რიცხვი აუწერელი სისწრაფით იზრდება. თქმა არ უნდა, სასტუმროს პატრონებიც ამით სარგებლობენ და განსაცვიფრებელ ქირას ითხოვენ.

გათამამდნენ მეეტლენიც. კარიდან კარამდე მისვლა დადებულ ფასის გარდა ჯდება ათ-ათი შაური. ეს მათი ჰკუის ფასია. მათს სითამამეს ვერავინ ალაგმავს. „ბ. ვ.“

## მონოზნის გატაცება

როგორც „საქართველოს“ მკითხველებს მოეხსენებათ, სოფ. მღვიმევში მონაზონი მოიტაცეს. მოტაცების საქმე ასე გამოირკვა. ახალგაზდა მონაზონს ძრიელ დაახლოვებია ჭიათურის სკოლების სჯულის მასწავლებელი მღვდელი ბარათაშვილი. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ერთს მეორესთან დაუწყვია მსვლელობა. ამ რომანტიულ გატაცებას მოჰყოლია სატრფიალო წერილების მიწერ-მოწერა. ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩათ სხვა მონოზნებს. ეჭვით მოარშიყეთა წერილები დაუჭერიათ. ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს იმერეთის მღვდელმთავარს. ამ უკანასკნელს გამოძიება დაუწყვია... რა იქნება, საქმე რით გათავდება, არ ვიცით. შედეგს დროზე შეგატყობინებთ.

ციცინთელა.

## ჩვენი ცხოვრება

**სოფ. მერეთი.** (გორის მაზრა). მთლად ვენახებში ჩაფლულა ეს სოფელი და არა მგონია ისეთი გლეხი ან აზნაური სცხოვრობდეს აქ, რომელსაც არა ჰქონდეს საკუთარი ვენახ-ბაღი. მერეთი მოშორებულია ქ. გორზე 25 ვერსით და მდებარეობს მის ჩრდილოეთით, პატარა ლიახვის მარცხნივ. იგი შეიცავს 120 კომლამდე და სულ ქართველები არიან; მცხოვრებნი მისდევენ ხვნას, თესვას, მევენახეობას და მეხილეობას; მეტადრე ამ ბოლო დროს იწყეს გამრავლება ხეხილისა, რადგანაც ხედავენ რომ შემოსავალი ამ დარგმა კარგი იცის; თვით სოფელი ჩვეულებრივი ქართლური სოფელია, ქვით-კირის ერთი მეორეზე აშენებული ლო მიკრულ სახლებით, კალო-საბძლებით, რამდენიმე საწვრიმალო დუქნით.

სკოლა ამ სოფელში არ არსებობს; იგი თუ [illegible] მაგრამ დაუკეტნიათ, მიზეზი რომ ვკითხე, მითხრეს; სახალხო სკოლების მეთვალყურემ პირობა დაგვიდო მხოლოდ შეშა და მასწავლებელის მსახურის ხარჯი გადაგვხდებაო, შემდეგ-კი, როცა სწავლა დაიწყო მოგვთხოვა მეტი გადასახადიო; ჩვენც ავდექით და ბავშვები აღარ გავგზავნეთ სასწავლებლადო. კარგია რომ აქაურმა კეთილშობილებმა ითავონ როგორმე და მოახერხონ სკოლის დაარსება და მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, შეიძლება, რაღა თქმა უნდა გადაახდევინონ გლეხებს ცოტა ოდენი გადასახადი, მაგრამ მაგიერად სარგებლობა სკოლიდან ერთი-ორად მეტი იქნება. ბევრი მერეთზე ღარიბი სოფელი ინახავს სკოლას თვის ხარჯით და მერეთმა, რომ არ ითავოს, მცხოვრებლებისთვის სირცხვილი იქნება.

სოფელ გარედ სდგას საყდარი თვისი მწვანე ხავერდოვან გარემოთი, აქა-იქ მოსჩანან საფლავის ქვები: იქვე მათ შორის საყდრის ჩრდილოეთით არის საფლავი ანტონ ფურცელაძისა; ზედ ადევს რუხი მარმარილოს ქვა, იგი სადაა, ზედ არავითარი მორთულობა, არც ჯვარია დაწერია: მე წილად მხვდა მხვედრი მწარე, ძნელად საამო, ჩვენ იარებსა და წყლულებში ხელების რევა, მით წყლულს ვამტკივნებ მე სნეულთა და ამის გამო შევიძინე მოძმეთაგან ლანძღვა და წყევა!“ და ეს სრული ჭეშმარიტებაა; ყოველივე საზოგადო მოღვაწის ხვედრი „ლანძღვა და წყევაა“. და ან რომელი მათგანს შეუძენია სიკეთე, მით უმეტეს „წყლულთა“ რიცხვი და „სნეულთა“ რაოდენობა მრავალია ჩვენ ცხოვრებაში. და გასაკვირველი არაა რომ „თამარ ლაზნელის“ და „მაცი ხვიტიას“ შემქნელი ვერ ასცდა საერთო ბედს.

ხოსო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამასთანავე გაახლებთ ორ თუმან ფულს, რომელიც მივიღე ავსტრიის ფრონტზე მყოფ სამხედრო დეკანოზის მამა ზაქარია ლუკაშვილისაგან და, თანახმად მისი სურვილისა, გთხოვთ გადასცეთ ერთი თუმანი ქართულ თეატრის ასაგებ ფონდს, ერთი თუმანიც მოძმე აჭარელთა სასარგებლოდ.

დეკ. ნ. თალაკვაძე.

---

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

---

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდ. (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. | [illegible] წ. | საღ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.
ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან